

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის
მომზადებისა და პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების
მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომის
2022 წლის 30 მარტის ოქმი N1

სხდომა დაიწყო 14:00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

ნინო ლაცაბიძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე

ბესიკ ტოგონიძე - მერის მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე

კახა გურული - მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი

ოთარი ტატალაშვილი - მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი

მამუკა მამაიაშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ- სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ბიუჯეტის საკითხებზე

ხატია ფოცხვერაშვილი - მერის მრჩეველი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი გენდერულ საკითხებზე

ლაშა ბუსხრიკიძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

კობა ძლიერიშვილი - არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

არამუდმივი წევრები:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელები

სხდომა გახსნა სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ - ნინო ლაცაბიძემ

ნინო ლაცაბიძე: ჩვენი მუნიციპალიტეტი არის ერთერთი მოწინავე პროგრამულ ბიუჯეტირების გამოცდილების კუთხით, რომლის ძირითადი საფუძველია მოსახლეობის პრიორიტეტების სწორი დადგენა, რომელიც ფორმირდება მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე. ოპტიმალური კითხვარის შედგენა გახდება საფუძველი მოსახლეობისთვის ეფექტიანი შედეგის მიღების უზრუნველყოფის.

მამუკა მამაიაშვილი: მოგახსენებთ, რომ ქალაქ რუსთავის მერმა 25 თებერვალს გამოსცა შესაბამისი ბრძანება, რომელიც ასახავს ვალდებულებებს მთელი წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებებისას, საბიუჯეტო კალენდარის მიხედვით. დღეს გვაქვს პირველი სხდომა და იქნება საუბარი მოსახლეობის გამოკითხვის შინაარსობრივ ნაწილზე. ასევე უნდა დავიწყოთ მოსახლეობის აზრის კვლევა თუ რა იქნება პრიორიტეტული სფერო, რომელიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გააუმჯობესოს 2023 საბიუჯეტო წელს.

ნინო ლაცაბიძე: საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით, სავალდებულოა პროცესში ჩაერთონ მერის წარმომადგენლები ა(ა)იპ „რუსთავის კორპუს“-თან მჭიდრო კოორდინაციაში. რომლებიც საზოგადოებრივი აზრის კვლევას დაიწყებენ კონკრეტული უბნებიდან ასევე შევჯერდეთ კითხვარის შინაარსზე. ჩვენი მთავარი მიზანია ქალაქის განვითარება მოხდეს სისტემურად მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობით.

მამუკა მამაიაშვილი: რაც შეეხება კითხვარის რაოდენობას თითოეულ მუნიციპალურ ერთეულში წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია არანაკლებ 50 მოქალაქის გამოკითხვა.

ბესიკ ტოგონიძე: თითოეულ მუნიციპალიტეტში 100-მდე ადამიანის გამოკითხვა ვფიქრობ იქნება აბსოლუტურად საკმარისი. კითხვარში გამოიკვეთოს ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები.

მამუკა მამაიაშვილი: კითხვარში შევიტანთ 6 ძირითად პუნქტს და თითო პუნქტი ჩაიშლება ქვე-პუნქტებად. მუნიციპალური ერთეულები შევსებულ კითხვარს უგზავნის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, ჩვენი სამსახურის მიერ მოხდება გამოკითხვის შედეგების კონსოლიდაცია.

ნინო ლაცაბიძე: შევთანხმდეთ ასეთ ფორმატზე, კითხვარში გამოიკვეთოს მსხვილი თავები და კითხვარს დაერქვას „ქალაქის განვითარების პრიორიტეტები“. თანამშრომელი, რომელიც გავა კვლევაზე, აუცილებლად ეკეთოს ბეიჯი სახელი გვართ და რომელ მუნიციპალიტეტს წარმოადგენს. აუცილებელია მუნიციპალიტეტის და კორპუსის კოორდინატორები ერთად იყვნენ, შევეცადოთ, რომ გამოკითხული ადამიანების ასაკი და სქესი იყოს დაბალანსებული. კვლევის შედეგები გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის ყველა შესაბამის სამსახურს და მათ მიერ წარმოდგენილი იქნას არსებული გამოწვევების გადაწყვეტის ოპტიმალური გზები.

მადლობას გიხდით და გისურვებთ წარმატებებს.

ნინო ლაცაბიძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე

ბესიკ ტოგონიძე - მერის მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე

კახა გურული - მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი

ოთარი ტატალაშვილი - მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი

მამუკა მამაიაშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ- სამუშაო


ჯგუფის კოორდინატორი ბიუჯეტის საკითხებზე

ხატია ფოცხვერაშვილი - მერის მრჩეველი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი გენდერულ

საკითხებზე

ლაშა ზუსხრივიძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის

ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი



კობა ძლიერიშვილი - არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

მაია გოგებაშვილი - მერიის ადმინისტრაციის საორგანიზაციო განყოფილების პირველი

კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის მდივანი

